საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 2 20 00298598

13/03/2020

ნაზიბროლა რეხვიაშვილს
მის. ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. N6 ბინა N43
ელ. ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com

ქალბატონო ნაზიბროლა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, 2020 წლის 2 მარტს, შემოვიდა თქვენი 11.02.2020 წ. განცხადება (სამინისტროში რეგისტრ. N172334), რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო სკოლებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, საჯარო სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.
განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 229 საჯარო სკოლა, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არის 50 406, ხოლო კერძო სკოლებში _ 7 914.
2019 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ტერიტორიული ორგანოების, რესურსცენტრების მეშვეობით, მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო სკოლაში განახორციელა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, რის შედეგადაც გამოვლინდა:

ა) ბათუმის რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე
ბათუმის N22 და N26 საჯარო სკოლებში ადგილი ჰქონდა სველ წერტილებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნათა დარღვევებს.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 04 ივლისის N872 და 2019 წლის 06 ნოემბრის N1404 ბრძანებების საფუძველზე, ბათუმის N22 და N26 საჯარო სკოლებს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება და ერთი თვის ვადა სკოლებში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.
ბათუმის N22 და N26 საჯარო სკოლების მიერ დადგენილ ვადებში სამინისტროსთვის მოწოდებულ იქნა ინფორმაცია მათ მიერ სკოლაში გატარებული ღონისძიებების შესახებ;

დღეის მდგომარეობით ბათუმის რესურსცენტრის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სკოლების საპირფარეშოებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ოცდაშვიდი საჯარო სკოლიდან ოცდახუთ საჯარო სკოლაში საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში, N29 და N31 საჯარო სკოლების საპირფარეშოები კი განთავსებულია შენობის გარეთ;

ბ) ქობულეთის რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე

საჯარო სკოლების მონიტორინგის დროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სოფელ ბობოყვათში, სოფელ აჭყვისთავში, სოფელ ალამბარში, სოფელ ოჩხამურში, სოფელ ხალაში, სოფელ ნაკაიძეებში, სოფელ მუხაესტატეში და სოფელ ბუკნარში ადგილი ჰქონდა სკოლის სველ წერტილებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნათა დარღვევებს და შემდგომი რეაგირების მიზნით მიეცათ სიტყვიერი მითითება. დღეის მდგომარეობით ვითარება გამოსწორებულია და აღნიშნულ სკოლებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ქობულეთის რესურსცენტრის დაქვემდებარებაში არსებული 46 საჯარო სკოლიდან 34 საჯარო სკოლაში საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის ადმინისტრაციული შენობაში, ხოლო 12 საჯარო სკოლის საპირფარეშო _ შენობის გარეთ.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლას აქვს სამი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა: ძირითადი კორპუსი, დაწყებითი სკოლა და საბაზო სკოლა.

ძირითად კორპუსსა და დაწყებით სკოლაში საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში და სველ წერტილებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, თუმცა ძირითადი კორპუსის ეზოში ასევე არის სარეზერვო გარე საპირფარეშო, სადაც ამჟამად მიმდინარეობს რემონტი.

რაც შეეხება საბაზო სკოლის საპირფარეშოს, განთავსებულია სკოლის შენობის გარეთ და დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს რემონტი;

გ) ხელვაჩაურის რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე

საჯარო სკოლების მონიტორინგის დროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის, სოფელ განთიადის, სოფელ ახალშენის N2, სოფელ ხელვაჩაურის N1, სოფელ ზემო წინსვლის, სოფელ ზემო თხილნარის, სოფელ ერგეს, სოფელ ჭარნალის, სოფელ ახალშენის N1 და დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლებში ადგილი ჰქონდა სველ წერტილებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნათა დარღვევებს და შემდგომი რეაგირების მიზნით მიეცათ სიტყვიერი მითითება. ვითარება დღეის მდგომარეობით გამოსწორებულია და სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ხელვაჩაურის რესურსცენტრის დაქვემდებარებაში არსებული 35 საჯარო სკოლიდან 27 საჯარო სკოლაში საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო 8 საჯარო სკოლის საპირფარეშო _ შენობის გარეთ;

დ) ქედის რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე

საჯარო სკოლების მონიტორინგის დროს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულისა და სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლებში დაფიქსირდა სველ წერტილებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნათა დარღვევები (წყლის მიწოდება ხარვეზებით) და სკოლებს მიეცა პრობლემის დროულად აღმოფხვრის რეკომენდაცია.

ქედის რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული 29 საჯარო სკოლიდან 25 საჯარო სკოლაში საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში,

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს, გეგელიძეების, მეძიბნის და აქუცის საჯარო სკოლების საპირფარეშოები განთავსებულია შენობის გარეთ.
დღეის მდგომარეობით სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლაში არ არის მოწყობილი ხელსაბანი და სტანდარტების დაცვით წყალგაყვანილობის სისტემა, რადგან საპირფარეშოს შენობა რელიეფურად მდებარეობს სოფლის ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც არ იძლევა მისი სტანდარტულად მოწყობის საშუალებას (არ არის კანალიზაცია, გამდინარე წყალი, ხელსაბანი მოწყობილია საპირფარეშოს შენობის მოშორებით). მიმდინარე წელს გათვალისწინებულია აღნიშნული სკოლის რეაბილიტაცია და მათ შორის საპირფარეშოს შენობაში მოწყობა;

ე) შუახევის რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე
შუახევის 43 საჯარო სკოლიდან 22 საჯარო სკოლაში საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო 21 საჯარო სკოლის საპირფარეშოები _ შენობის გარეთ. საპირფარეშოებში დამონტაჟებულია ხელსაბანები (გარდა ქვემოთ მოცემული გამონაკლისისა) და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
სსიპ თემურ ცეცხლაძის სახელობის სოფელ დარჩიძეების საჯარო სკოლის საპირფარეშო განთავსებულია სკოლის შენობის გარეთ და დღეის მდგომარეობით არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. საზაფხულო არდადეგების პერიოდში დაგეგმილია საპირფარეშოს კაპიტალური შენობის აშენება.
მონიტორინგის დროს სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ პაპოშვილების საჯარო სკოლის სველ წერტილში გამოვლენილი ხარვეზები დღეის მდგომარეობით აღმოფხვრილია.
სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბაძველის საჯარო სკოლას აქვს კაპიტალური საპირფარეშო, მაგრამ არა აქვს საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც ხელსაბანი მოწყობილია საპირფარეშოს გარეთ. ხელსაბანის საპირფარეშოში მოეწყობა მარტის ბოლომდე;

ვ) ხულოს რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე

საჯარო სკოლების მონიტორინგის დროს სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხოს საჯარო სკოლაში ადგილი ჰქონდა სკოლის სველი წერტილებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნათა დარღვევას და შემდგომი რეაგირების მიზნით მიეცათ სიტყვიერი მითითება, რომელიც დღეის მდგომარეობით გამოსწორებულია.
სოფელ საციხურის და სოფელ ძმაგულის საჯარო სკოლებში წყლის პრობლემის გამო ვერ ხერხდებოდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა საპირფარეშოებში და დღეის მდგომარეობით აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია, სოფელ თაგოს, სოფელ გორგაძეებისა და სოფელ ტაბახმელის საჯარო სკოლებში არის გარე ხის საპირფარეშოები, რომლებშიც ვერ ხერხდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და სტანდარტების დაცვა. აღნიშნული სკოლები საჭიროებს საპირფარეშოების მშენებლობას. ამ მიმართულებით უკვე დაგეგმილია სველი წერტილების რეაბილიტაცია-მშენებლობა, მოწესრიგება. რაც შეეხება დარჩენილ 43 სკოლის საპირფარეშოების მდგომარეობას, საპირფარეშოებში განთავსებულია ხელსაბანები და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
ხულოს მუნიციპალიტეტში 49 საჯარო სკოლიდან 21 საჯარო სკოლაში საპირფარეშოები განთავსებულია სკოლის შენობაში, ხოლო 28 საჯარო სკოლის საპირფარეშო განთავსებულია შენობის გარეთ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს და 2021 წელს დასრულდება რიგი საჯარო სკოლების მშენებლობა, რომელთა საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების სველი წერტილების მოწყობას სკოლის შენობებში, კერძოდ:
1) სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2021 წწ);
2) სსიპ ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2021 წწ);
3) სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2021 წწ);
4) სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლა (ძირითადი კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა) (მშენებლობა 2019-2021 წწ);
5) სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2021 წწ);
6) სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2021 წწ);
7) სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა (სპორტული და სააქტოდარბაზის მშენებლობა 2019-2020 წწ);
8) სსიპ გიორგი შაინიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლა (დაწყებითი კორპუსის მშენებლობა 2019-2020 წწ);
9) სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2022 წწ);
10) სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენითის საჯარო სკოლა (სპორტულის დარბაზის მშენებლობა 2019-2021 წწ);
11) სსიპ ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2021 წწ);
12) სსიპ ქ. ბათუმის N23 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2021 წწ);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს და 2021 წელს დასრულდება რიგი საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, რომელთა საპროექტო დოკუმენტაცია ასევე ითვალისწინებს სკოლებში არსებული სველი წერტილების კაპიტალურ რემონტს:
1) სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლა;
2) სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლა;
3) სსიპ ამირან მამალაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2020-2021 წწ);
4) სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა;
5) სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სამებას საჯარო სკოლა;
6) სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვის საჯარო სკოლა;
7) სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა (ძირითადი და საბაზო კორპუსის რეაბილიტაცია 2020-2021 წწ).

დამატებით, USAID-ის დაფინანსებით, 2020 წელს განხორციელდება ოთხი საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც ასევე ითვალისწინებს სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციას.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო სკოლაში, მათ შორის სველ წერტილებში, ჩატარებულია სადიზენფექციო სამუშაოები.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე
ბადრი ნაკაშიძე